

— ბერლინის სახელმწიფო მოსამსახურე - სოც.-დემ. უარს ამბობენ სამუშაო დღის ახალი კანონის დამოწმებაზე

— გერმანეთში სოც.-დემ პარტიაში უთანამოებობა.

— მემარცხენე ფრთა მოითხოვს პარტიკულის მოწვევას.

— რიგის რესპუბლიკის პროექტი.

გერმანიის აგვები

ბერლინი. პოლიტიკურ წრეებში მარქსის კაბინეტს სთვლიან დროებითად, რომელიც მოყოლებულია შეამზადოს ახალი ირჩევები.

ბერლინი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ მარქსის კაბინეტი ვერ არის მტკიცე და იგი იძულებული იქნება დახმარება ეძიოს ხან მემარჯვენეებში და ხან მემარცხენეებში.

სოც.-დემ. ელოდებიან

ბერლინი. რეისტარის სოც.-დემ. ფრაქცია მარქსის კაბინეტის მიმართ ფორმალურად იჭერს „მოცდის პოზიციას“ ვიდრე არ გამოქვეყნდება მთავრობის დეკლარაცია.

სოც.-დემ. მმართველი წრეები ყოველ ღონეს ხმარობენ რათა უმეტესობა ახალი კაბინეტის მიმართ მეგობრული ნეიტრალიტეტი დაიცვას.

ნაციონალისტები ოპოზიციაში არიან

ბერლინი. ნაციონალისტებმა განაცხადეს, რომ ისინი ახალ კაბინეტის მიმართ ოპოზიციაში იქნებიან. „კრიტიკიტიუნი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი კაბინეტის განათქვამი საბაზისი არ არის თავიდან აცილებული, ვაზეთი იგონებს სოც.-დემ. მოთხოვნებს სასალო წესების მოთხოვნის შესახებ და აღნიშნავს, რომ ეს საკითხი, რომელშიც დასცა შტრუბენის მთავრობა, ესლაც წინ უდგას მარქსის კაბინეტს. ვაზეთი ეგვობს, რომ მარქსის მთავრობა დასთანხმდეს სასალო წესების მოხსნას.

ნაციონალისტების უთანხმოება ებერტთან

ბერლინი. ნაციონალისტების მეთაურის გერგეტისადმი მიმართულ საპასუხო წერილში, რომელიც გამოწვეულია ნაციონალისტების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებით. ებერტი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტს უფლება აქვს თავისი შეხედულებით დანიშნოს რეისტარის მთავრობის შედგენა.

ნის ნაციონალისტებისათვის მინდობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ნაციონალისტურ მთავრობას პარლამენტში არ ეყოლებოდა უმრავლესობა.

ებერტის მიერ დაკავებულ პოზიციასთან დაკავშირებით, ნაციონალისტები ენერგიულ კამპანიას აწარმოებენ ებერტის წინააღმდეგ. ზეალისათვის ბერლინი დანიშნულია ჩრდილოეთ გერმანიის და ბავარიის „მამულის დამცველთა კავშირების“ ყრილობა, რომლებიც მოითხოვენ ებერტის გადადგომას.

პრუსიის ლანდტაგი წინააღმდეგია უმუშევართა დახმარებისა.

ბერლინი. პრუსიის ლანდტაგი უარყო კომფრაქციას მოთხოვნილება, რათა ყოველ უმუშევარს მისცემოდა. დახმარების სახით 50 ლილ. ოქროს მარკა.

რუხის პეფეკავშირთა კაბიტულაცია.

ბერლინი. შრომის სამინისტროში დამთავრდა რუხის მაღალთა პარტონების და პროფკავშირთა წარმომადგენლების მოლაპარაკება სამუშაო დღის გაგრძელების შესახებ. დადებულ შეთანხმებით, სამუშაო დღე გრძელდება ერთი საათით. პროფკავშირთა კაბიტულაციაში დიდი უმცაყოფილება გამოიწვია მუშებში. ბურჟუაზიული პრესა ესალმება სტინდის ენერგიულ გამოსვლას. „ფოსტე ცეიტუნგი“ ხაზს უსვამს, რომ დიუსელდორფის შეთანხმების მიძიმე პირობები მწარმოებლებს აძლულებს გაათავონ ნაწარმოები; ვაზეთის განცხადებით, მუშებმა უნდა გაიღონ მსხვერპლი და სამუშაო დღის გაგრძელება სცნონ აუცილებლად.

„ფორგერტი“ ესალმება კაბიტულაციას

ბერლინი. „ფორგერტი“ იწონებს პროფკავშირთა წარმომადგენლების საქციელს, რომლებიც „საერთო კეთილდღეობის სახელით არ შეუშინდნენ მიძიმე მსხვერპლს“

მარქსის კაბინეტი

ბერლინი. მარქსის კაბინეტი პირველ რიგში აპირებს რეისტარს სთხოვოს განუახლოს მას ის უფლებები, რომელიც მინიჭებული ჰქონდა შტრუბენთან მთავრობას და ამით ნდობა გამოუცხადოს ახალ მთავრობას.

კაბინეტის შედგენის ისტორია

ბერლინი. მარქსის მიერ წარმომავლ მოლაპარაკების დროს პირველ ხანებში განზრახული იყო, რომ შტრუბენი დაიქვრდა არა ვაზეთსა

კმეთა, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს. თუ გადადგებოდა ვესლერი, თავდაცვის მინისტრად განზრახული იყო კარლდორფი. მარქსმა ითხოვია სოც.-დემ. ლიდერთან, მიუღწერათ, რომელსაც პარტიის სახელით კაბინეტის ნეიტრალიტეტი აღუთქვამა.

მარქსი ეკუთვნის ცენტრის ზომიერ ჯგუფს. სოც.-დემ. მას საქმის კაცად სთვლიან და დიდის სიმპატიით ეყურებიან მას.

საფრანგეთის პრესის აზრი კაბინეტზე

პარიზი. „პარი კურნალი“ ახალი კაბინეტის შედგენას შტრუბენის გამარჯვებულ სთვლის, რადგანაც იგი რჩება ვაზეთს საქმეთა მინისტრად. ვაზეთი ფიქრობს, რომ გერმანიის სავარყო პოლიტიკა უფრო დათმობითი იქნება, რადგანაც არის ნიშნები საფრანგეთ-ინგლისის დაახლოებისა და რადგანაც გერმანიისათვის აუცილებლად საჭიროა უკუხეობის სესხის მიღება.

გერმანიის სამხედრო მზადება

პარიზი. საფრანგეთის პრესა ვაცხოველებული არკვევს რეიტერის სააგენტოს ცნობას, ვითომც, გერმანიის განსაკუთრებულ სიჩქარედ სწარმოებდეს სამხედრო მზადებას.

სააგენტო აღნიშნავს, რომ პოლიცია, სამხედრო საზოგადოებანი და სტუდენტობა არა ჩვეულებრივ მოქმედებს ირინენ.

საფრანგეთის პრესა მიუთითებს, რომ რეიტერის სააგენტოს ცნობა ადასტურებს ამ ორი თვის წინააღმდეგ მიღწეულ „მოთავსებული ცნობა გერმანიის სიდიდულ სამხედრო სამზადისის შესახებ; მაშინვე ვაზეთი აღნიშნავდა, რომ გერმანიისათვის საკმარისია 7. თვე რომ ჯარი მოიყვანოს იმავე მდგომარეობაში, როგორშიაც იყო 1914 წელს.

როზა ვოლფშტინის განთავისუფლება

ბერლინი. უფლებრივ კომისიის წინააღმდეგობით პრუსიის ლანდტაგიმ განათავისუფლა ლანდტაგის დეპუტატი ქალი კომუნისტი როზა ვოლფშტინი, რომელიც დაღუსაღებული იყო ბერლინის კომუნისტურ დემონსტრაციასთან დაკავშირებით.

კომისიამ სცნო, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობა არ არის საბუთი დაპატიმრებისათვის.

კომუნისტების დაპატიმრების გამო.

ბერლინი. პრუსიის ლანდტაგში კომუნისტმა დეპუტატმა მერიმა გაილაშქრა ზეგერინგის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი სცილობს

კომუნისტების დაპატიმრება გამართოს მისი მორჩილი მილიციების გამოყენებით. კომპარტია, განაცხადა მერიმა არ უარყოფს, რომ მან მოაწყო დემონსტრაციის დასრულება მუშების აჯანყებულუდენდ სამხედრო დიქტატორის წინააღმდეგ. ებერტი უკანასკნელ დაპატიმრების დიქტატურა. ზეგერინგი სცილობს კომუნისტებზე გულაშქრებით იხსნას თავი.

სამუშაო დღე.

ბერლინი. ბერლინის სახელმწიფო მოსამსახურენი—სოც.-დემ. ერთად გამოუშვებული სამუშაო დღის კანონი.

სარენგო მარკები.

აერლინი. ოკუპაცია ქმნილ ოლქების პროტესტის გამო, გერმანიის მთავრობამ ნება დართო გაგრძელებს დროებითი ფულის ნიშნების ტრიალი. ბერლინიში მცხოვრებნი ეგვევინ ბანკებს. რათა ფულის ნიშნები გადაცვალონ სარენტო მარკებზე. სავაჭროები უარს ამბობენ საქონელი სარენტო მარკით დაფასონ, რაც მცხოვრებლებში სარენტო მარკების სრულუფლებიანობას ემპაზბადებს.

გერმანიის სოც.-დემ. შორის.

ბერლინი. გერმანიის სოც.-დემ. პარტიის ცეკის დადგენილებამ, რომელითაც ლევის აღკრძალული აქვს ვაზეთის გამოცემა, დიდი აღშფოთება გამოიწვია სოც.-დემ. პარტიის მამარცხენე ფრთის შორის. ლევის განზრახვები აქვს განაგრძოს ვაზეთის გამოცემა. თუ ეკვა წინადადება შეიტანს ლევის პარტიდან გამოიცილების შესახებ, ბერლინის ორგანიზაცია ამ წინადადებას დიდ წინააღმდეგობას გაუწევს. სოც.-დემ. ვაზეთი „ლევიტიკერ ვოლკესციტიუნი“ აღნიშნავს, რომ პარტიის უმრავლესობა არ ცნობს ცეკას გადაწყვეტილებას, რადგანაც ამ უკანასკნელს არა აქვს ფორმალურად უფლება ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანს სრულიად გერმანიის ვარტუტაგის ნება დართულად. მემარცხენე ფრთა მოითხოვს პარტიკულის მოწვევას.

ხემნიცის სოც.-დემ. ვაზეთი „ფოლკსციტიუნი“ აცხადებს რომ ცეკას დადგენილება მიმართულია საქონლის წინააღმდეგ. „ჰამბურგერ ეკო“ სასტიკად ჰკიცხავს ცეკას დადგენილებას და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი სცილობს გააქარწყლოს ოპოზიცია, რადგანაც ეწინააღმდეგის მისი გამარჯვებისა პარტიკუტეტივში.

მარცხენე პერიოდი და ხელფასი

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ შრომის ნაყოფიერების თეორიის ჩანასახებს ვპოულობთ ად. სმიტის მიმდრებაში. ვავერკვიეთ მოკლეთ ამ საკითხის შესახებ აღნიშნული ავტორის აზრი, ვავეთვალისწინეთ, რომ ად. სმიტი ხელფასის გადიდებისათვის საჭიროდ სცნობდა კაპიტალის დაგროვებას, უკეთ კაპიტალის ზრდას.

შემდეგმა პერიოდმა ად. სმიტის მოლოდინი ვაცამტერა. კაპიტალის ზრდასთან ერთად მოხდა არა ხელფასის სიდიდის ზრდა, არამედ სრულიად საწინააღმდეგო მოვლენა. ხელფასის სიდიდე დაეცა, პაპერიზში მოვიდა მუშათა კონტრენტს, ვამეფედ უმუშევრობა. კაპიტალის ზრდა, დოვლათის ზრდა, დიდი სიმდიდრის თავის-მოყრა ერთად და უკიდურესი სიღარიბე, პაუპერისმი, და ხელფასის დაბლა შეკუმშვა და ხელფასის კაპიტალიზმის ვინევიტარების შემცირება.

ქტის საკითხად იქცა ის ვარემოება, რომ „ნაციონალური სიმდიდრის“ ზრდა კაპიტალისტური მფურწენობის დროს, ნიშნავს ერის, ნაციის დიდ და უმრავლესობის სიღარიბის ზრდას. კაპიტალის კონცენტრაციისა და აკუმულიაციის პროცესი საზოგადოების უმნიშვნელო ჯგუფს აკუთვნებს უგვირგვინო მეფობას, რომელიც ყოველი ძალის დახმარებით ცილობს მოგების გადაღებას, რაც თავისი მხრივ თხოვლობს ხელფასის შემცირებას.

ეს სოციალური ოპტიმიზმი, რომელიც ად. სმიტს ახასიათებს, უნდადავო ხდება შემდეგ ეპოქაში. ამ ახალი ფაქტების ნიადაგზე იზრდება და ვითარდება მალტუსისა და რიდაკარდოს სოციალური პესიმისმი. ამ შემთხვევაში ჩვენ ეს საკითხი პირდაპირ ამ გვიანტრენტებს, ვიტყვით მხოლოდ, რომ ად. სმიტის კონცეპცია ხელფასის ზრდისა კაპიტალის დაგროვების ზრდის გამო, დამარცხდა, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორიულად.

რას ვეუბნებთან შრომის ნაყოფიერების თეორიის ტიპური წარმომადგენელი? როგორია მათი შეხედულება ხელფასის საკითხის შესახებ?

ამ თეორიის წარმომადგენლები ვეუბნებთან, რომ ხელფასის სიდიდე დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერებისაგან. კაპიტალისტები აჯილდოვებენ მუშებს თანაბრად მათი შრომის ნაყოფიერებისა. ამიტომ მეტს იღებს დახელოვნებული, მცოდნე, ვამოცილი და კვალიფიკაციური მუშა, ვიდრე დაუხელოვნებული, უციოდინარი და ვამოუცნელი. მეტს იღებს მუშა, რომელმაც თავი უნდა ვაართავს რთულ მექანიზმს ქარხანაში, ვიდრე მუშა, რომელიც თავისი ზურგიტ ვადაიტანს ერთი ადგილიდან მეორეზე ტვირთს, რომლისთვის არავითარი ცოდნა საჭირო არ არის.

ამ თეორიის აზრით სამუშაო ძალა მხოლოდ საწარმოო საშუალებათა ერთი სახეა. როგორც საწარმოო საშუალების, მისი ფასიც ვანისაზღვრება იმ პროდუქტთა ფასით, რომელიც შექმნილია ამ საწარმოო საშუალებით. ამიტომ საჭიროა ვამორკვევა თუ რა და რა ნაწილი აქვს წარმოებაში მიწას, კაპიტალს და შრომას. რასაც ჰქმნის შრომა, რომ

გორც საწარმოო საშუალება, მას იგი ღებულობს. აქ წარმოების აგენტის სახით არის შრომა წარმომდგარი და იგი იზას ღებულობს, რაც უნდა მიიღოს. ამ მოსაზრებას იცავს ვიზერი.

როგორც ეს, ისე ზემოდ აღნიშნული მოსაზრებანი კრიტიკის ვერ უძლებენ. თუ მუშის ხელფასი უდრის მის საწარმოო შრომის ფასს, რისთვის არის, რომ ერთი და იგივე სამუშაოს შემსრულებელი, ერთსა და იმავე დროს, ღებულობს სხვა და სხვა ხელფასს. რისთვის ფასობს ქალის შრომა ნაკლებად ვა ვაისი მეტი, ერთსა და იმავე მუშაობის შესრულებაში?

კიდევ, რომ შრომა ჰქმნიდეს თავის ფასს, როგორც წარმოების აგენტი, აქედან ის არ ვამოდის, რომ იგი მიიღებს ხელფასის სახით მის მეტრ შემწილ ღირებულებას. საზოგადოებრივი შემოსავლის მთავისებრი საწარმოო აგენტთა პარმონული, სოლიდარული ინიციატივა კი არ არის ვაბატონებული, არამედ დისპარმონიული, ანტაგონისტური ურთიერთობა ვამეფებული. ყოველი სოციალური კლასი იბრძვის თავისი შემოსავლის ვადიდებისათვის და რა პირობები არსებობენ ისეთი სიმტიკისი მქონენი, რომლებსაც შეეძლოს შრომას მიაკუთვნოს ის, რაც მას ეკუთვნის, როგორც საწარმოო საშუალებას?

ამ კითხვებს შრომის ნაყოფიერების თეორია ვერ ხსნის ვიზერიც არ უარყოფს, რომ რეალური ხელფასი არ უდრის შრომის ნაყოფიერების ფასეულობას და მასსადავმე ეს თეორია რეალური ხელფასის შესახებ ვერაფერს ვეუბნება.

ჩვენ შორს ვავეყვანდა სხვა, უფრო მცირე მნიშვნელოვანი, თეორიების ვანხილვა და ვვაცდენდა იმ ძირითად ამოცანას, რომლის ვარკვევასაც მიზნად ვისახებთ. ეს ამოცანა არის ხელფასის საკითხის ვამორკვევა ვარდამავალ პერიოდში.

მართალი რომ იყოს ზემოდ ვარჩეული თეორიები ხელფასის შესახებ, მაშინ აზრი ეკარგება პროფესიონალურ მოძრაობას, მუშათა კავშირებს, რადგან ისინი ვერ შესცვლიან და ვერავითარ ვავენას ვერ იჭირნიბენ ხელფასის სიდიდის ვაზრდაზე.

მუშათა ორგანიზაციების ისტორია კი სხვას ვეუბნებმა. ილიუსტრაციისათვის საჭირო, ტრედუნიონების მოვონება, რომ ამ ღებულებამ დაკარგოს თავისი მნიშვნელობა.

საქმე იმაშია, რომ სამუშაო ძალა არ არის ისეთი საკონელი, როგორც დანარჩენი სხვა. თუ საკონელზედ ფასის დამყარება არ მოითხოვს ვეიდელის და ვამეიდელის სოციალურ უთანასწორობას, ხელფასის სწორედ ანარკელია სოციალური უთანასწორობის და დამდენათე იგი ვანსაკუთრებულ პირობებში იმყოფება.

მუშა ჰყიდის თავის სამუშაო ძალას, რადგან მას არ შეუძლია იგი არ ვაყადოს, ხოლო კაპიტალისტი ყიდულობს მას, რადგან მას საშუალება აქვს მისი ვამოყენების. მუშას არ შეუძლია ვახდეს კაპიტალისტი, ხოლო კაპიტალისტიც არ ვახდება მუშა, რადგან საამისო მოტივი მისთვის არ არსებობს.

როგორ ვყარდება ხელფასის სიდიდე?

რუსი მეცნიერი, პიროვ. ტუგან—ბარანოვსკი აყენებს ვე. ვოლდებულ სოციალურ თეორიას.

მისი აზრით ხელფასის სიდიდეს ვანსაზღვრავს ერთი მხრით შრომის ნაყოფიერება, ხოლო მეორე მხრით მუშათა კლასის სოციალური ძალა. ვეფირობთ ეს თეორია უფრო ხსნის ფაქტიურ მდგომარეობას.

წარმოების აგენტთა თანამშრომლობა ქმნის საზოგადოებრივ შემოსავალს, პროდუქტებს. საზოგადოებრივი შემოსავლის ვანაწილებისათვის იწყება ბრძოლა წარმოების აგენტების მემატრონეთა შორის. კაპიტალისტი, მიწის მფლობელი, მუშა იბრძვიან საზოგადოებრივი შემოსავლის მთავისებობისათვის. ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვისი სოციალური ძალა ძლიერია. თუ ორგანიზაციული შრომა დაუპირისპირდა უორგანიზაციო კაპიტალს, მოიგებს შრომა აიწყვე ხელფასის სიდიდე. თუ ორგანიზაციული კაპიტალი დაუპირისპირდა უორგანიზაციო შრომას—გამიმარჯვებს კაპიტალი, დაიწყება მუშის ხელფასი.

ამით აიხსნება, რომ სადაც მუშათა კლასი ძლიერია თავის ორგანიზაციით, მას შეუძლია კაპიტალთან ბრძოლაში გამარჯვებული ვამოვიდეს.

ძველ რუსეთში არც შრომის ნაყოფიერება იყო დიდი და არც მუშათა სოციალური ძალა და ამით აიხსნება ის ვარემოება, რომ რუსის მუშა „ში და კაშას“ მეტს ვერ ეღირსებოდა თავის სიცოცხლეში. ინგლისში კი, სადაც მეტი იყო შრომის ნაყოფიერება და მუშათა კლასის სოციალური ძალაც, ხელფასიც უმეარბით დიდი იყო და მუშები კომფორტულ ცხოვრებას ეწეოდა.

მაშასადამე ხელფასის ფაქტორებად უნდა იქნეს მიღებული შრომის ნაყოფიერება და მუშათა კლასის სოციალური ძალა.

ამ ვანმარტების შემდეგ ჩვენთვის ადგილი ასახსნელი ხდება, საბჭოთა რეპუბლიკებში ხელფასის მდგომარეობა. საბჭოთა ქვეყნებში მუშათა ხელშია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სადავე და მასსადავმე სოციალურად იგი ვაბატონებულია.

რატომ არის დღეს მცირე ხელფასი? იმტომ, რომ შრომის ნაყოფიერება დაცვა, რომ წარმოების პროდუქტიულობა შემცირდა. როგორადაც არ უნდა ვავფიქმბატდეთ და პროტესტები არ აღმოხდეს ჩვენს პირს, ხელფასი არ ვადიდდება, თუ შრომის ნაყოფიერება არ ვადიდდა. მოვეციეთ დიდი ხელფასით, რომ ვამბობთ, ის არ უნდა ვევიწყდებოდეს, რომ არ შეიძლება მისი მონაცემა, რაც არ არსებობს, ნომინალური ხელფასის ვადიდება და მილიარდებითაც ტომობის ვატენა, ერთი წუთითაც არ ვეისნის და არ ვადიდებს რეალურ ხელფასს, რადგანაც მას ქმნის არა ფულის ნიშნების სიმრავლე და სიუხვე, არამედ შრომის ნაყოფიერებით საზოგადოებრივი შემოსავლის ვადიდება, მოსამბარი პროდუქტების სიმრავლე.

ამისათვის კი საჭიროა შრომის ნაყოფიერების წესიერ კალაპატი ჩაყენება.

საბჭოთა რესპუბლიკებში სოციალური ძალა მუშათა კლასი ხელშია და მასსადავმე ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ რომ საზოგადოებრივი შემოსავლის ვანაწილებაში იგი დამარცხდება. მას აქ

ვერავს ვერ შეედავება, ხოლო უმთავრეს საზოგადოებრივ წინააღმდეგს შრომის ნაყოფიერების ვადიდება, რაც ერთად ერთი ვაზა მწრომელთა დიქტატურის დროს ხელფასის ვადიდებისათვის.

ვარდამარალ პერიოდში, როდესაც მუშათა კლასი ხელთ ივდებს სახელმწიფოებრივ ძალა-უფლებას და ვამოდის სოციალური ცხოვრების ტონის მიმცემი, ხელფასის საკითხი ვანსაკუთრებულ პირობებში იმყოფება. უმთავრესი და ერთად ერთი სიმძიმე ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ზრდა-შია. სოციალურად მუშათა კლასის ვაბატონებული. მასსადავმე საზოგადოებრივი შემოსავლის ვანაწილების სფეროში მას ძლიერი კონკურენტი არა ყავს აქ კაპიტალი ადარ ბატონობს შრომაზე, შრომა ვაბატონებული კაპიტალზე.

კაპიტალისტური მეურნეობის დროს, ვაბატი ნებული კაპიტალი შრომას უქმნიდ ქთ პირობებს რომ იგი მხოლოდ საწარმოო საშუალებას, მკვდარი მასალის დონეზე ვამდევანა. მისთვის საჭირო იყო სამუშაო ძალა და ამიტომ კაპიტალისტი ერთი და იგივე თვალთ უყურებდა, როგორც მშრომელ ვაქსა და ქალს ისე ცხენსა და მკვდარ მანქანას. მას სურდა მხოლოდ ამ ძალების ვამოყენება მოგების ვადიდებისათვის.

ეხლა შრომა ვაბატონებული. თუ წინეთ შრომის მიერ შექმნილი კაპიტალი ბატონობდა შრომაზედ და პიროვნებას მეურნეობის ობიექტად სთვლიდა და არა სუბიექტად, დღეს შრომის, მასსადავმე პიროვნების ინტერესის მიხედვით უნდა ამობრავდეს კაპიტალი და მისი ადგილი უნდა ვანისაზღვროს ისე და იმდენად, როგორ და რამდენათაც იგი საწარმოო საშუალებათა და მეტი არავითარი.

რა თქმა უნდა საკითხს ართულებს ის ვარემოება, რომ ვერ კიდევ მთელი კაპიტალი შრომის პირდაპირ მორჩილებაში არ არის, რომ კერძო კაპიტალისტის პროფილი ვერ კიდევ ვახვებთ არ ვამქრალა. ვამარე შრომის სახელმწიფო საშუალებით შეუძლია კაპიტალი დაეყენოს თავის ბატონობის ქვეშ. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, სადა ვაგებული. ამ მთავარ მიზანს ემსახურება.

მაშასადამე, იცვლება ვასეებით ის სურათი საზოგადოებრივი შემოსავლის ვანაწილების პროცესში მებრძოლ ძალთა სოციალური ძლიერებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ტიპურ კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

თანამედროვე ეპოქის რთული სახე არ წარმოადგენს უკვე ვამარჯვებული შრომის ბატონობას მთელ მსოფლიოში. ვარდამავალი პერიოდის ტეხილეთი სხვა სურათს ჰქმნის ხელფასის საკითხში საბჭოთა რესპუბლიკებში და სხვა სურათს ჰქმნის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

აქ თუ სოციალური პოლიტიკის ძირითად საკითხს შეადგენს შრომის ვაბატონება კაპიტალზე, იქ კი დეგრადაციის პროცესში შესული კაპიტალი ცილობს ტრანსილური ბატონობის უღარესობა ვანავითარის შრომაზედ და ვამდებრებული ექსპლუატაცია მუშათა ფართო კონტინენტის დასახვისათვის ვადარჩენს ერთად ერთ სიმარტე.

ამიტომ საჭიროა ვათავალისწინება თუ რა მდგომარეობაა შექმნილი კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა ხელფასის სფეროში. ამ მხრივ სტატისტი-

სახ. კომისიის ინიციატივით. თათბირის დადგენილებებს ამტკიცებს საკავშირო კავი. თვით თათბირის არ აქვს არავითარი ადმინისტრაციული და გამგებლობითი ფუნქციები. ის წარმოადგენს ნებისყოფილობაზე აგებულ ორგანიზაციას და მიზნათ ისახავს საბჭოთა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის დარგში მუშაობის შეჯანსახებას.

მიწათმოქმედების აპარატის შესახებ მიღებული იქნა დადგენილება, რომ სასურველია ყველა საკავშირო რესპუბლიკებში აპარატის სტრუქტურის ერთგვარობა და მისი გლუბისასთან დაახლოვება.

გაკეთებულ იქნა იმფორმაციული ხასიათის მოხსენება რუსეთის მიწათმოქმედების კომისიარატის და მისი ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურის პროექტის შესახებ. პროექტი უმთავრეს ყურადღებას აქცევს ძირითად უჯრედებს—საუბნო აგრონომიულ პუნქტებს, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებული არიან სოფლის გლეხობის მეურნეობასთან. საუბნო პუნქტები უნდა გააძლიერებული იქნან როგორც თანამშრომელთა რიცხვის მხრივ, ასე მათი შერჩევითაც. შემდეგ მიდის საბაზრო განყოფილება, რომელიც შესდგება 3—4 სპეციალისტისაგან. საუბნო განყოფილებებში რჩება ხუთი მართვლობა, რომელთა შორის ძირითად ითვლება სოფლის მეურნეობის ნაწილი.

სოფლის მეურნეობის მანქანების მომარაგების საკითხში, თათბირმა, მიიღო რა მხედველობაში, რომ გლეხობას არ შესწევს ძალა მანქანების შესაძენათ, სწო საჭიროთა გაცემული იქნას სახელმწიფოს მიერ 30 მილიონი ოქროს მანეთი გლეხობისათვის ოთხ წლიანი კრედიტის გასასხნელათ. კრედიტის გაცემის დროს უპირატესობა უნდა ეძლეოდეთ სასოფლო კოოპერატივებს და სამანქანო ამხანაგობებს. საზღვარგარეთიდან უნდა შემოტანილი იქნას თესლის გამწმენდი და სხვა მანქანები. მანქანების გადაზიდვა რკინის გზით უნდა ხდებოდეს დაკლებულ ფასებში მანქანების გაყიდვაში, გასაქირავებელ და თესლის გამწმენდ პუნქტების მოწყობაში და არსებული ექსპლოატაციაში უნდა გამოყენებული იქნას სასოფლო კოოპერატივები.

მიწათმოქმედების ორგანოები ახლო უნდა იდგნენ სასოფლო მეურნეობის მანქანების წარმოებასთან, მანქანების ტიპების და მარკების შექმნის მხრივ.

მიწათმოქმედების საკითხში თათბირის მიერ მიღებულია დადგენილება: უმთავრეს ყურადღებას

აქცევს საამხანაგო ფორმების (სამეურნეო ამხანაგობები, კომუნები, კოლექტივები) განვითარებას. მათ უნდა მიეცეთ უპირატესობა ახლების წინაშე და აღმოჩინონ ყოველგვარი დაწინაურება (კრედიტის მიცემით და სხვა). მიწათ-მოწყობა საერთოდ უნდა იქნეს თავისუფალი და სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს მასში, მკერეოდენი გამოაკლისის გარდა, სადაც მიწათმოქმედების კომისიარატი სცნობს ამას საჭიროდ.

მიწათმოქმედების მუშაობას უნდა ჰქონდეს მიზნად ხელი შეუწყოს ნაციონალური მეურნეობის წარმოებას და მეურნეობის ახალ ფორმებზე გადასვლას.

სამელორაციო საქმეში საჭიროა მელორაციის იდეების მცხოვრებლებს შორის გავრცელება, სამელორაციო ამხანაგობების შექმნა, კრედიტების გაცემა ამ საქმისათვის და ტექნიკური ზომებით დახმარება.

გადასახლების და კალონიზაციის საკითხის ფართო წგარება ახლანდელი პირობების მიხედვით შეუძლებელია, თათბირი სცნობს საჭიროდ, რომ გადასახლება ხდებოდეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა გადასახლებულ ადგილზე მოწყობილია ყველაფერი საჭირო მეურნეობის დასაწყობად.

სატყუო მეურნეობის დარგში საჭიროდ იქნა ცნობილი—კალ-კალე რესპუბლიკების წარმოებითი გეგმის შეთანხმება, სატყუო კონცესიების გაცემა, სატყუო მასალის გაცემის წესის შემოღება, სატყუო კოოპერაციის ფართო ორგანიზაცია და სატყუო მეურნეობაში მომუშავეთა მდგომარეობის გაუმჯობესება.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საკითხში გადაწყდა საკავშირო მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო ბანკის მოწყობა, ბანკის აქციონერებად იქნებიან საკავშირო რესპუბლიკების მიწად მოქმედების კომისიარატი და საკავშირო ფინანსთა სახ. კომისიარატი. ბანკის ძირითადი თანხა უნდა შეადგინდეს 55 მილ. ოქროს მანეთს. ბანკი თავის მოქმედებაში ემორჩილება მიწათ-მოქმედების კომისიარატის თათბირს და ფინანსთა სახ. კომისიარატს.

გარდა საკავშირო ბანკისა, თვითეულ რესპუბლიკაში უნდა მოწყობილ იქნეს ადგილობრივი ბანკები. (კომუნისტი) ბ. 8.

მოსკოვი, 22 ნოემბერი.

ნიერი, გულიდან ამონახეთქი, ალერსიანი ტემპრის ხმა აქვს და ეს ხმა საუკეთესოდ ახასიათებს მარტოს სულიერ მდგომარეობას. მარკოვის ქალის შესრულდება საუკეთესო ადგილები არის: მე-2 მოქმედების არია და კვარტეტი. უკანასკნელი, კუკიდან შემოსის სცენას მსახიობი დიდის განწყობილებით ასრულებს. კარგია აგრედვე ვოკალური ვადაცემა.

„ოპერინიკი“ გრიგორი გრიაზნოვის პარტიას ექსპრომტად ასრულებდა მსახიობი ელიოზიშვილი. მსახიობი ლევადა ოპერის დაწყებისას, მაგრამ შემდეგში შეიმავრა თავი და პარტია კარგად შეასრულა, როგორც ვოკალურის, ისე სცენიურის მხრივ, განსაკუთრებით უკანასკნელი სცენა, სადაც ელიოზიშვილმა მოგვცა დიდი ტემპერამენტი, ნათელი დიქცია და ლამაზი გამოთქმა (ფრაზიროვკა).

ძალიან კარგი მსახიობი ქალი რიბონე ლევაშის (გრიაზნოვის მიერ მიტოვებულ ქალის) როლში. პირველ არიას (A coryella), საკრავთ წყობის უკომპანიმენტოდ, მსახიობი მღერის mezz voce, რაც კარგად გამოხატავს მოწყვნილობას და დღარადობას. საუკეთესო ადგილი მიიღო არის სცენა მეფის მკურნალ ბოშელისთან. აქ მსახიობმა გამოიჩინა წმინდა დრამატული ტალანტი. როგორც დრამატულს ვადაცემაში, ისე სიმღერაში დიდი ტემპერამენტი სჩანს.

მსახიობი საბინინი კარგად მიუდგა სობაკინის როლს და კარგი განსახიერება მოგვცა ვაქარისა, მხოლოდ უკანასკნელ სცენაში, სადაც სობაკინი ვაქარი კი აღარ არის, არამედ სასახლის კარის კაცი, საჭიროა მეტი მედიტრობა. ვოკალური მხარე კარგი გამოთქმის წყალობით კარგი იყო, სასურველია მხოლოდ უფრო ნათელი დიქცია.

მსახიობ მისინს აქვს დრამატული ტემპრი და უნდა გვეფიქრა, რომ ლირიული პარტია მის ხმას არ მიუდგებოდა, მაგრამ მსახიობმა მიიღო კარგად შეასრულა ივანე ლიოვის პარტია. მხოლოდ გარეგნულის შეხედულობით მოსინი ცოტა უხეში იყო და ნაკლებად ჰვავდა ახალგაზრდა ყმაწვილს.

მსახიობი ბლაგოზრაზოვი ასრულებდა ივანე მირისხანეს დროის ჯალათის მალიუტა სკურატოვის ეპიზოდური როლს. გრემი ვერ იყო შესაფერისი—მალიუტა უფრო საზოზარი და მხეცის მსგავსი უნდა იყო. პარტიას ბლაგოზრაზოვი კარგად მღეროდა, ლამაზი ფრაზიროვკით და ნათელი დიქციით.

მსახიობმა ქალმა დობრენსკიმ ტიპური განსახიერება მოგვცა ძველი დროის დიდებულისა და მისი ვაღმომცემის ვოკალური ნაწილი სრულიად მისაღები.

მშენიერად იყო განსახიერებული გარყვნილი, ცბიერი და ხარბი მეფის მკურნალი ბომოლი მსახიობ კურბატოვის მიერ, მომღერალს მეტად დამახასიათებელი ფრაზიროვკა აქვს. კარგი ჰქონდა აგრედვე გრემი და მიმიკა.

ბიბლიოგრაფია

ჩვენი გზა, № 2, თვიური ჟურნალი, 32 გვ. ტფილისი, 1928 წ.

მშრომელ ქალთა გათვითცნობიერება, პოლიტიკურად მათი აღზრდა, საზოგადო ასპარეზზედ გამოყვანა და ახალი ცხოვრების აღმშენებლობაში ჩაბმა აუცილებელი და გარდაუვალი საჭიროებას წარმოადგენს საბჭოთა რესპუბლიკებში. ეს მეტისძედად მწელი და რთული საქმეა, მაგრამ უმისობა მიიღო არ შეიძლება.

ამ დიდ და საპასუხისმგებლო მიზანს ემსახურება ჟურნალი „ჩვენი გზა“, რომლის მე-2 ნომერი უკვე გამოვიდა და რომლის შესახებ გვინდა ჩვენი აზრი გამოვსთქვათ, რომ ამით ხელი შეუწყობთ ჟურნალის გაუმჯობესებას.

გაუმჯობესება კი ძალიან ვსაჭიროება ამ ჟურნალს, თორემ ისე მიზანს ვერ მიაღწევს. მგორე ნომერი, შევალთხე ძალიან უკუდათა შედგენილი, —სულ არ ატყვია რედაქტორის ხელი. ამ ნომერში ორი ერთნაირი წერილია მოთავსებული გერმანიის შესახებ: ერთი უფრო მოკლე (პელაგაისი) და მეორე ვრცელი (მოსლესა). ერთი მათგანი უსათუოდ შედგებია ამ ნომერში. ქვემოთ კიდევ უარევი გვგვდება: მე-23 გვერდზე იწყება წერილი „როგორ უნდა გამოვკვებოთ ბავში 6 თვიდან 1 წლამდე“. ამ წერილის მეორე ნაწილი, რომელშიაც აწერილია ბავშვისათვის სხვა და სხვა ნაირი საქმელების მომზადება, ორჯერაა დაბეჭდილი. განსხვავება თარგმანშია მხოლოდ. ამ წერილს მისდევს „დროის“ (საუფარის) დამზადება და კიდევ ერთ წერილს შემდეგ მოთავსებულია „როგორ უნდა მოუაროთ ძუძუწოვარა ბავშვს“. ასე მასალის დალაგება ჟურნალში არ შეიძლება. წერილი „დღევანდელ ქალთა დაწერილია 15 ოქტომბრისათვის, როცა დანიშნული ყოფილა დღევანდელ ქალთა არჩევნებში და ამ წერილის მოთავსება ჟურნალის მე-2 ნომერში, რომელიც დეკემბრის პირველ რიცხვებში გამოდის, —უაზრობაა. არც ასეთი ფრაზა იყო გასაშვები შეუსწორებლად მოსულის წერილში: „ინგლისი მთელ მსოფლიოში ყველაზედ უფრო უმდიდრესი კოლონიალური სახელმწიფო არის“. ამ აშკარა

კარგი ღუნიაზა იყო—მსახიობი ქალი ერმოლინსკი.

დიდი ქების ღირსია ივანე დანელაშვილი, რომელმაც მშენიერად გაიჭრა მლოდური ლამაზი ადგილები და ყველა მსახიობი მართებდა. კარგი იყო გუნდი. საერთოდ ეს წარმოდგენა ერთი საუკეთესო დადგმათაგანი იყო.

3. ბებუთიშვილი. მოზრდილთა თეატრი. 7 დეკემბერს, წითელ არმიელთა კლუბის საზამთრო შენობაში გაიხსნება მოზარდთა თეატრის სეზონი. წარმოდგენილი იქნება „ფული და ხარისხი“.

რუსთაველის თეატრი. დღეს, 4 დეკემბერს, წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ ენაზედ „ადამიანი მას“, პიესა ე. ტოლლერისა. დასდგავს რეჟისორი მ. ქორელი.

სახელმწიფო ოპერა. დღეს წარმოდგენილი იქნება „ტოსკა“ ოპერა მ. პოქმედი. მუსიკა პუჩინისა. ოთხშაბათს 5 დეკ. „მოციქული და სალერი“ ოპერა 2 მოქმ. მუსიკა რიმსკი-კორსაკოვისა და „ჯამაზბედი“ ოპერა 2 მოქმ. მუსიკა ლევანკოვალისი.

ციკი. დღეს, 4 დეკ. გრანდიოზული წარმოდგენა საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით. გამოვლავა ცნობილ მოსკოველ მსახიობის იუმორისტ-სატირის ვიტალი ლაზარენკოსი, სრულიად ახალი პროგრამით.

ხომბური დრამა. ოთხშაბათს, 5 დეკ. რუსთაველის თეატრში სომხური დრამის მსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება ჰაუტმანის დრამა-ზღაპარი „დაძირული ზარი“.

ბათუმის აკადემიურ თეატრში. ბათუმის აკადემიურ დრამის მართველობამ დეკემბერში გასტროლებზედ მიიწვია ქართული სცენის დამსახურებული მსახიობი ნ. ჩხეიძე და რეჟისორი მ. ქორელი.

„ქეთო და კოტე“. ბათუმის საოპერო დასი ამზადებს ქართულად ვ. დოლიძის კომიკურ ოპერის „ქეთო და კოტეს“.

როს ნადიმოზდენე. ქართული აკადემიურ დასი აპარისტანის საბჭოთა ყრილობის სახეივანისათვის ამზადებს შლევა დადიანის რეკლუციონურ პიესას „როს ნადიმოზდენე“.

მ. მდივანის იუბილე. მიმდინარე სეზონში ბათუმის ქართული დასი აწყობს დამსახურებულ მსახიობ ქალის მ. მდივანის სცენაზე მოღვაწეობის 25 წლის იუბილეს. დასი უკვე შეუდგა სიუბილუო მზადებას.

ლაპსუსს გასწორება უნდოდა: თბილისი კოლონი ბით მდიდარი ქვეყანაა და არა მდიდარი კოლონიალური ქვეყანა.

გარდა ამისა ცუდი კორექტურა სრულია გაუგებარს ხდის ზოგიერთ აზრს. მაგ.: „ამ მოზრებით საფრანგეთი ცდილობს დაანაწილოს გერმანიის წესით სახელმწიფოებზე როგორც ვიცით და სხვა. ამ პროგრამის განსახორციელებლად სფრანგეთი არს ადგებს, პილონეთსა და ჩეხოსლოვაკიას“. სხვა გამოსავალი გზა არც არსებობს. შეფარდებულიც არ არსებობს; „რუსეთის ნედლ მასალისა და სურსათ-სანოვავის დაუზრეტელი ზღული და გერმანიის ცოდნის და უმაღლეს ტონისა შექმნა“. უფიქრის თავდებია გერმანულ ხალხის ეკონომიური აღორძინებისა და წარმატებისა.

სირცხვილია ქალთა სახელით ასეთი ჟურნალი გამოდიოდეს... ამ სახით ამ ჟურნალის დატოვება არ შეიძლება. ჩემი აზრით აუცილებელია მშრომელ ქალებს ჰქონდეთ ერთი ყოველკვირეული ორგანო ცხოვრება ისე სწრაფი ტემპით ვითარდება, რთვური ჟურნალის საშუალებით მას ვერ ჩაუვლდებოთ კვალში. ქალთა გათვითცნობიერებისათვის აუცილებელია ცოცხალი ყოველკვირეული გამოცემა სადაც ვაშუქებული იქნება მიმდინარე ცხოვრება და დროზედ და არა ერთი თვის შემდეგ. ყოველ კვირეული ორგანო მეტ ინტერესს და სიცოცხლეს მოიწვევს ქალთაშიც, უფრო მჭიდრო იდეურ კავშირს დაამყარებს მეოთხელებს შორის, უფრო ავილიად და მალე შეიტანს მათში საჭირო შეგნებას. უფრო მალე შეიტანს მათში საჭირო შეგნებას აგრეთვე ქალის ფაქტურ უფლებებზე მდგომარეობას და არა ფორმალურს. ჩვენი ღრმა რწმენა მხოლოდ ასეთი ცოცხალი, გასაგები და დასურთებული ყოველკვირეული ჟურნალი მიაღწევს დიად მიზანს, რომელზედაც წერილის დასაწყის გვქონდა ლაპარაკი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გაგონიერების თემა

გამოჩინებული თემა (ქუთ. მან) ამ თემის ერთ-ერთ სოფელს შეადგენს სოფ. ქვაყულე, რომელიც მდებარეობს სადგურ საჯავახოდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 7—8 ვერ. მანძილზე.

ეს სოფელი გაშენებულია მთა-გორიან ადგილზე და სამხრეთ-დასავლეთით ჩამოუდის მდ. ხევის წყალი, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ადიდების დროს ჭირახულს, მეტ წილად ზაფხულობით, რაც ერთ გლეხის თითქმის 3—4 თვის სახაროებელს მიიბარებს შავს ზღვას—მდინარე რომ-

აქური მცხოვრებნი ეწვეიან სიმინდის მოყვანას, რომელზედაც დამყარებულია მთელი წლის განმავლობაში სხვი და სხვა ოჯახური შემოსავალ-გასავლის დაფარვა.

აქ არსებობს სხვა და სხვა კულტურული დაწესებულებანი: კოოპერატივი, სამკითხველო, აფთი-აქი და პირველ დაწყებითი სამ წლიანი შრომის სკოლა.

საერთოდ სკოლის საქმე ვერ სდგას სასურველ დონეზე, რაც გამოიხატება შენობის უფარგისობაში, რომელიც მოთხოვნის კაპიტალურ შეკეთებას, ხალხს კი ეს სიღარიბის გამო არ ძალ-უძთ. თვით ამა სოფლის გლეხები ქვემო აღნიშნულ შემთხვევის შემდეგ მიეცა საღათას ძილს და სრულებით არ ექცევა მას, ყურადღება, რაც აუცილებელი

ლი საჭიროა, როგორც არის სწავლა-აღზრდის საქმე. ხალხის ინდიფერენტობში ამ საქმისადმი გამოიხატება შემდეგში:

გასული წლის ივლისში, სოფ. ქვაყულე გორ-მალის მასსიურმა კრებამ დააგინა: სკოლისათვის ახალი შენობის აგება. ყოველივე ამას სჭირდებოდა დიდძალი თანხა, რისთვისაც კრებამ აირჩია ლაგრენტი ისილარეს ძე გვეჯიძე, რომ მოეგროვებია სხვა და სხვა დაწესებულებების მუშებისაგან შემოწირულებანი დასახული მიზნის გასახორციელებლად.

რამოდენიმე თვის შემდეგ მოგროვილ იქნა გვეჯიძის მიერ 249 ცალი ოსმ. ქალ. ლირა, რომელიც დანიშნულ მიზანს არ მოხმარდა. ესლა იგი მიცემულია სასამართლოში.

სკოლის მდგომარეობა თანდათან უარესდება. დახვეწებული შენობა მალე დაიქმება.

ამვე სოფელში 20 სექტემბერს იქნა გამართული საღამო ადგილობრივ მოწინავე ახალგაზრდების მიერ, რომლის წმინდა შემოსივლით გადაიღო სკოლის შესაკეთებლად. მაგრამ ეს მცირე თანხა სასწავლებლის შეკეთებას ვერ შესძლებს.

საერთოდ მადლობის ღირსია ამხანაგებთ, ლორია პავლე, შანიძე ევგენი და შანიძე ვანო, რომლებმაც გამართეს წარმოდგენა და ერთხელ კიდევ აღუძრეს ხალხს სურვილი ამ საქმისადმი.

ქვაყულელი.

სახელმწიფო ოპერა

სახელმწიფო ოპერა—მეფის საცოლო. ტფილისის სახელმწიფო საოპერო თეატრში განახლებული ოპერა „მეფის საცოლო“ არის კომპოზიტორი რიმსკი-კორსაკოვის ერთი იმ უკანასკნელ და საუკეთესო ნაწარმოებთაგანი, რომელშიაც კომპოზიტორი გაჰყვა ვაგნერის მიერ დამჩნეულ კვალს. ოპერა დასდგა ახალმა რეჟისორმა რაპპოპორტმა, რომელმაც თავის დადგმას საფუძვლად დაუდო უმთავრესად დრამის სიუჟეტი კი არა, არამედ—სიმბოლიზმი. რეჟისორი რაპპოპორტი წითელი ზოლით ატარებს იმ აზრს, რომ მთელი დრამა მზეთუნახავ ვართასა და მის მახლობლების ცხოვრებაში შედგება მისი ბედის წერისა. ეს სიმბოლო არის გამოხატული იოანესა მრისხანისა და მის თანამოაზრეთა ყოველს მოქმედებაში. გარდა ამისა, მეორე მოქმედებაში იგივე სიმბოლო გამოხატულია უკანამise en scene-ებში მოსკოვის კრემლის სილუეტების სახით, მაშინ, როდესაც ავანსცენა წარმოად-

გენს ალექსანდრეს სოფელს და მთელი მოქმედება იქ სწარმოებს. ეს საინტერესოა, რამდენადაც იგი ახალია, მაგრამ საკითხავია, ვასაგებია თუ არა ყველასათვის ეს სიმბოლო. ასეა თუ ისე, დიდმა საინტერესოა იქ, სადაც იგი არ უწინააღმდეგება ვარჯისა და ზნე-ჩვეულებებს. მაგ. სრულიად უადგილოა ვაქარ სობაკინის სახლის სასახლედ წარმოდგენა; ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ვერ იყო კარგი აგრედვე სამეფო დარბაზში სასახლეში—უნდა აღინიშნოს, რომ სასახლე უფრო ღარიბულად იყო მოწყობილი ვიდრე სობაკინის სახლი. შემდეგ, როგორც მეფის დარბაზში (სადანაც არის აღებული ოპერის სიუჟეტი) იეს ოპერის პარტიკულური, იოანე შემთხვევით ჰხედება მართას და მაშინვე სწვდება ამ უკანასკნელის ბედი; რაპპოპორტის დადგმით, იოანე პირველ შეხვედრისთანავე ხელებს აპოტინებს ქალს. ესეც ვერ არის სწორი. ოპერის უმთავრეს პარტიას—მართასას—ასრულებდა მსახიობი ქალი მარკოვი. მომღერალს მშენ-